

შულავერ - შომუ თეფეს კულტურის ახალი ქვის მასლა
მარნეულის ველიდან

დავით დოლაბერიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის არქეოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ცქვიტინიძე

თანახელმძღვანელი: მინდია ჯალაბაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

დეკანს ბატონ გიორგი გვალას

ამავე ფაკულტეტის არქეოლოგიის

მაგისტრის დავით დოლაბერიძის

განცხადება

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით დოლაბერიძე

2018

მადლობა

ნაშრომის შექმნაში გაწეული დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდით გადაჭრილი გორის ექსპედიციის წევრებს: ე. ქორიძეს, თ. ალაპიშვილს, გ. ჩილინგარაშვილს, მ. ელოშვილს. ტაბულების და სურათების დამუშავებასა და შექმნაში ლ. ლოსაბერიძეს. ქანების განსაზღვრაში რ. ჩაგელიშვილს.

აბსტრაქტი

მარნეულის ველი, ძვ.წ. VII-VI ათასწლეულებში წარმოქმნილი შულავერ - შომუ თეფეს კულტურის გავრცელების ერთ - ერთი რეგიონია. ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად მტკვრის აუზში, ხრამის ქვემო წელზე ექსპედიციამ გამოავლინა ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარებისგან შემდგარი ოთხი ჯგუფი: არუხლოს ჯგუფი, წითელი სოფლის ჯგუფი, ყაჩადანის ჯგუფი და შულავერის ჯგუფი.

2016 წელს გადაჭრილი გორის ექსპედიციაში ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელსაც დაევალა მარნეულის ველზე მდ. ხრამის მარცხენა ნაპირის დაზვერვები. დაზვერვების შედეგად, სოფელ ბაილარის მახლობლად აღმოჩნდა 500 ერთეულამდე ქვის არტეფაქტები, 2017 წელშიც დაიზვერა იგივე ტერიტორია და აიკრიფა 100 ერთეულის ქვის არტეფაქტი.

კვლევის მიზანია - აღნიშნული ქვის მასალის არქეოლოგიურ - ტიპოლოგიური შესწავლა, ამის საფუძველზე მისი მიკუთვნება შულავერ - შომუ თეფეს კულტურისთვის. გარკვევა იმისა თუ რა ტიპის ძეგლთან გვაქვს საქმე: ნამოსახლარ გორასთან თუ საწარმოო კერასთან.

კვლევის მეთოდებიდან - აღსანიშნავია შულავერის, იმირის გორების და ბაილარის ქვის მასალის სისტემატიზაცია ტიპოლოგიური მეთოდით, ამის საფუძველზე მათშორის განსხვავებების და საერთო ნიშნების დადგენა. ასევე ამ ძეგლებზე, საერთო ქვის რაოდენობასთან, სხვადასხვა სამეურნეო იარაღის პროცენტული შეფარდების შედარება, დიაგრამების და გრაფიკების შექმნა და ა.შ.

დასკვნა - კვლევა ამტკიცებს, რომ მასალა ბევრი საერთო ნიშნით მსგავსებას პოულობს შულავერ - შომუ თეფეს კულტურის ნამოსახლარების არტეფაქტებთან. ეს გარემოება, კი, გვაფიქრებინებს, რომ დაზვერილ ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო გორა-ნამოსახლარი, რომელიც თანამედროვე სამეურნეო სავარგულის მოწყობის მიზნით იქნა მოშლილი. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სწორედ ბორცვის მოშლას უნდა გამოეწვია არტეფაქტების გავრცელება ასეთ დიდ ფართობზე.

შეჯამება - არა მხოლოდ მარნეულის ველის მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირის გარემო - პირობები იყო ხელსაყრელი ადამიანისთვის საცხოვრებლად ვარგისი, არამედ მდ. ხრამის მარცხენა ნაპირიც, რასაც ადასტურებს ბაილარში აღმოჩენილი არტეფაქტები. მოპოვებულ მასალაზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ რეგიონში (მარნეულის ველის მდ. ხრამის მარცხენა ნაპირი) მომავალმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა შესაძლოა მოგვცეს უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, შულავერ-შომუ თეფეს კულტურის შესწავლის თვალსაზრისით.

საძიებო სიტყვები: ნეოლითი, ენეოლითი, შულავერ - შომუ თეფეს კულტურა, ტიპოლოგიური მეთოდი, არქეოლოგიური დაზვერვები.

Abstract

Marneuli Valley is defined as one of the areas of spreading Shulaveri-Shomu Tepe Culture dated 8th -7th millennia BC. In 1960s have been undertaken archaeological surveys in the river Mtkvari basin and four groups of the settlements of Early Farming period were discovered on the lower bank of the river Khrami: “Arukhlo”, “Tsiteli Sopeli”, “Khachaghani” and “Shulaveri”.

In 2016 the part of the Gadachrili Gora expedition team has conducted survey in the Marneuli valley, especially, left bank of the river Khrami. During the survey were revealed different types of artifacts, about 500 items. Another archaeological survey were carried out on the same place in 2017, with the findings about 100 items of stone artifacts.

The aim of the research is to study stone artifacts by using archaeological and typological methodology, on these bases affiliations of the artifacts to the Shulaveri-Shomu-tepe culture. Together with this, it was necessary to determine the function of the object; was it a settlement or workshop.

Research Methodology – the systematization of the stone artifacts from the Shulaveri, Imiris Gora and Bailari by using the typological methodology to determine the differences and common features; creation of the diagrams, graphics and etc.

Conclusion - Research shows that there are many similarities among the stone artifacts of the Shulaveri-Shomu-tepe Culture settlements. This situation makes us to think, the surveyed territory represents a mound-settlement which has been destroyed during the recent agricultural activities. Therefore, as a supposition, spreading artifacts such a big territory was due to the collapse of the hill.

Summarize - Environmental conditions despite on the right bank of the river khrami near the territory of the Marneuli valley as well left bank of the river Khrami were suitable for living ancient people which is confirmed by the artifacts revealed in Bailari. The research on the discovered material shows that the future archaeological work in this region may provide us very important information in study of Shulaveri-Shomu-tepe Culture.

Key words: Neolithic, Chalcolithic, Shulaver-Shomu-tepe Culture, Typology Method, Archaeological Survey.